

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2016 წლის 4 აგვისტო

ქ.თელავი

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №64
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №64
დადგენილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში (www.matsne.gov.ge, 04/01/2016, 190020020.35.163.016303) შეტანილ
იქნეს ცვლილება და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი
ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

დანართი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის
ბიუჯეტი

თავი I

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული ცხრილის
შესაბამისად:

	2014 წლის ფაქტი		2015 წლის ფაქტი		2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7 137,9	10 696,1	3 838,8	6 857,3	10 960,8	3 678,16	7 282,65
გადასახადები	1 772,3	1 931,3	0,0	1 931,3	2 814,2	0,00	2 814,20



გრანტები	4 547,5	7 957,6	3 838,8	4 118,8	7 412,9	3 678,16	3 734,75
სხვა შემოსავლები	818,1	807,2	0,0	807,2	733,7	0,00	733,70
ხარჯები	4 421,6	6 134,1	78,7	6 055,4	6 868,7	30,17	6 838,49
შრომის ანაზღაურება	1 039,7	1 703,2	0,0	1 703,2	1 780,6	0,00	1 780,60
საკონწელი და მომსახურება	1 765,5	1 960,9	78,7	1 882,2	2 076,8	30,17	2 046,67
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,00	0,00
პროცენტი	131,4	57,7	0,0	57,7	46,2	0,00	46,20
სუბსიდიები	1 025,1	1 940,2	0,0	1 940,2	2 318,9	0,00	2 318,88
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	342,0	415,5	0,0	415,5	558,3	0,00	558,33
სხვა ხარჯები	117,8	56,6	0,0	56,6	87,8	0,00	87,82
საოპერაციო სალდო	2 716,3	4 562,0	3 760,1	801,9	4 092,1	3 647,99	444,16
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2 820,5	3 885,8	3 740,7	145,1	5 076,2	3 812,51	1 263,65
ზრდა	3 029,9	4 298,4	3 740,7	557,7	5 649,2	3 812,51	1 836,73
კლება	209,4	412,6	0,0	412,6	573,1	0,00	573,08
მთლიანი სალდო	-104,3	676,3	19,4	656,8	-984,0	-164,52	-819,50
ფინანსური აქტივების ცვლილება	-231,0	558,9	19,4	539,5	-1 091,0	-164,5	-926,4
ზრდა	119,2	558,9	19,4	539,5	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	119,2	558,9	19,4	539,5	0,0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული							



ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	350,1	0,0	0,0	0,0	1 091,0	164,5	926,4
ვალუტა და დეპოზიტები	350,1	0,0			1 091,0	164,5	926,4
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-126,7	-117,4	0,0	-117,4	-106,9	0,0	-106,9
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	126,7	117,4	0,0	117,4	106,9	0,0	106,9
საგარეო	126,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	117,4	0,0	117,4	106,9	0,0	106,9
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი		2016 წლის გეგმა			
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები



			ტრანსფერები			ტრანსფერები	
შემოსულობები	7 347,25	11 108,70	3 838,8	7 269,93	11 533,89	3 678,16	7 855,73
შემოსავლები	7 137,90	10 696,11	3 838,8	6 857,3	10 960,81	3 678,16	7 282,65
არაფინანსური აქტივების კლება	209,35	412,59	0,0	412,6	573,08	0,00	573,08
გადასახდელები	7 451,50	10 432,45	3 819,4	6 613,09	12 517,91	3 842,7	8 675,23
ხარჯები	4 421,60	6 134,09	78,7	6 055,4	6 868,67	30,17	6 838,49
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 029,90	4 298,36	3 740,7	557,7	5 649,24	3 812,51	1 836,73
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,00	0,00			0,00		
ვალდებულებების კლება	126,71	117,38	0,0	117,4	106,94	0,00	106,94
ნაშთის ცვლილება	-230,96	558,88	19,41	539,47	-1 090,96	-164,52	-926,44

მუხლი 3. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10960,81 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7 137,90	10 696,11	3 838,77	6 857,34	10 960,81	3 678,16	7 282,65
შემოსავლები	7 137,90	10 696,11	3 838,77	6 857,34	10 960,81	3 678,16	7 282,65
გადასახადები	1 772,32	1 931,30	0,00	1 931,30	2 814,20	0,00	2 814,20
გრანტები	4 547,52	7 957,57	3 838,77	4 118,80	7 412,91	3 678,16	3 734,75
სხვა შემოსავლები	818,06	807,24	0,00	807,24	733,70	0,00	733,70

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2814.2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი



			ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები
გადასახადები	1 772,32	1 931,30	0,00	1 931,30	2 814,20	0,00	2 814,20
სამემოსავლო გადასახადი					700,00		700,00
ქონების გადასახადი	1 772,32	1 931,30	0,0	1 931,30	2 114,20	0,00	2 114,20
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	837,87	716,57		716,57	1 154,20		1 154,20
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,01	13,02	0,0	13,02	0,00	0,00	0,00
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	592,75	728,44	0,0	728,44	585,00	0,00	585,00
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	340,70	473,03	0,0	473,03	375,00	0,00	375,00
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,00	0,25		0,25	0,00		

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7412.91 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	4 547,52	7 957,57	3 838,77	4 118,80	7 412,91	3 678,16	3 734,75
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4 547,52	7 957,57	3 838,77	4 118,80	7 412,91	3 678,16	3 734,75
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1 281,92	4 118,80	0,00	4 118,80	3 720,00	0,00	3 720,00
გათანაბრებითი ტრანსფერი	1 218,62	3 994,80		3 994,80	3 590,00		3 590,00
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	63,30	124,00		124,00	130,00		130,00
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3 265,60	3 838,77	3 838,77	0,00	3 692,91	3 678,16	14,750
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2 360,98	2 927,70	2 927,70		2 716,17	2 716,1670	



სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	904,62	911,07	911,07		962,00	962,00	
თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,00	0,00			14,8		14,750

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 733,7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	818,06	807,24	0,00	807,24	733,70	0,00	733,70
შემოსავლები საკუთრებიდან	326,38	305,54	0,00	305,54	250,00	0,00	250,00
პროცენტები	98,00	43,91		43,91	35,00		35,00
დივიდენდები	-1,10	0,00			0,00		
რენტა	229,49	261,63	0,00	261,63	215,00	0,00	215,00
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	199,67	253,98		253,98	210,00		210,00
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	29,82	7,65		7,65	5,00		5,00
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	27,60	68,80	0,00	68,80	129,70	0,00	129,70
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	22,52	66,07	0,00	66,07	123,70	0,00	123,70
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0,00	0,00			0,00		
სანებართვო მოსაკრებელი	8,53	32,33		32,33	20,00		20,00
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,01	0,05		0,05	0,10		0,10
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4,00	2,80		2,80	3,60		3,60
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	9,99	30,89		30,89	100,00		100,00
არასაბაზრო წესით გაყიდული							



საქონელი და მომსახურება	5,08	2,74	0,00	2,74	6,00	0,00	6,00
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5,08	2,74		2,74	6,00		6,00
ჯარიმები, სანქციები და საურავები	458,78	426,75		426,75	350,00		350,00
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	5,30	6,15		6,15	4,00		4,00

მუხლი 7. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6868.7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	4 421,6	6 134,1	78,7	6 055,40	6 868,7	30,17	6 838,5
შრომის ანაზღაურება	1 039,7	1 703,2	0,0	1 703,18	1 780,6	0,00	1 780,6
საქონელი და მომსახურება	1 765,5	1 960,9	78,7	1 882,19	2 076,8	30,17	2 046,7
პროცენტი	131,4	57,7	0,0	57,68	46,2	0,00	46,2
სუბსიდიები	1 025,1	1 940,2	0,0	1 940,20	2 318,9	0,00	2 318,9
სოციალური უზრუნველყოფა	342,0	415,5	0,0	415,50	558,3	0,00	558,3
სხვა ხარჯები	117,8	56,6	0,0	56,64	87,8	0,00	87,8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5076,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5649,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	წარმომადგენლობითი და							



01 00	აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	68,66	74,54	0,00	74,54	125,00	0,00	125,00
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,00	0,00	0,00	0,00	15,00	0,00	15,00
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2753,20	3994,95	3712,33	282,62	4682,65	3812,51	870,13
04 00	განათლება	103,47	95,73	0,00	95,73	399,42	0,00	399,42
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	104,57	133,15	28,34	104,80	427,18	0,00	427,18
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
სულ ჯამი		3029,90	4298,36	3740,67	557,69	5649,24	3812,51	1836,73

ბ) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 573,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	209,4	412,6	0,0	412,59	573,1	0,00	573,08
ძირითადი აქტივები	0,0	0,0			8,7		8,70
არაწარმოებული აქტივები	209,4	412,6	0,0	412,59	564,4	0,00	564,38
მიწა	209,4	412,6		412,59	564,4		564,38

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 920,8	2 406,3	0,0	2 406,3	2 659,7	0,00	2 659,69
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 775,0	2 406,3	0,0	2 406,3	2 613,5	0,00	2 613,49
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 771,4	2 406,3	0,0	2 406,3	2 580,0	0,00	2 580,00
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	3,6	0,0	0,0	0,0	33,5	0,00	33,50
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	140,8	0,0	0,0	0,0	46,2	0,00	46,20
702	თავდაცვა	88,2	117,2	0,0	117,2	133,6	0,00	133,60
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 796,0	1 986,5	1 836,6	149,9	3 483,9	3 029,67	454,24
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	112,0	225,9	217,1	8,7	166,7	127,99	38,70
70421	სოფლის მეურნეობა	112,0	225,9	217,1	8,7	166,7	127,99	38,70
7045	ტრანსპორტი	1 787,7	842,4	701,2	141,2	2 347,0	1 938,51	408,54
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 787,7	842,4	701,2	141,2	2 347,0	1 938,51	408,54
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	896,3	918,3	918,3	0,0	970,2	963,17	7,00
705	გარემოს დაცვა	174,5	669,2	500,1	169,1	234,5	0,00	234,52
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	174,5	661,8	500,1	161,7	182,8	0,00	182,80
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0,0	7,4	0,0	7,4	51,7	0,00	51,72
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	958,3	2 539,0	1 454,4	1 084,6	2 184,6	813,02	1 371,61
7061	ბინათმშენებლობა	103,6	3,7	0,0	3,7	29,7	0,00	29,72
7063	წყალმომარაგება	628,5	2 080,4	1 454,4	626,1	1 739,8	813,02	926,74
7064	გარე განათება	171,9	405,8	0,0	405,8	300,3	0,00	300,30
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	54,2	49,0	0,0	49,0	114,8	0,00	114,85
707	ჯანმრთელობის დაცვა	14,1	17,6	0,0	17,6	3,0	0,00	3,00



7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	14,1	17,6	0,0	17,6	3,0	0,00	3,00
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	344,6	1 022,8	28,3	994,5	1 527,1	0,00	1 527,07
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	7,2	321,5	28,3	293,1	733,5	0,00	733,47
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	312,1	630,6	0,0	630,6	732,6	0,00	732,56
7083	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	4,5	25,0	0,0	25,0	21,5	0,00	21,50
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0,0	2,0	0,0	2,0	0,0	0,00	0,00
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	20,7	43,8	0,0	43,8	39,5	0,00	39,54
709	განათლება	905,3	1 223,1	0,0	1 223,1	1 669,7	0,00	1 669,72
7091	სკოლამდელი აღზრდა	905,3	1 223,1	0,0	1 223,1	1 658,7	0,00	1 658,72
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,00	5,00
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,00	5,00
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	6,0	0,00	6,00
710	სოციალური დაცვა	249,7	450,7	0,0	450,7	621,8	0,00	621,78
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	7,9	0,0	7,9	33,1	0,00	33,06
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0,0	7,1	0,0	7,1	21,0	0,00	21,00
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,8	0,0	0,8	12,1	0,00	12,06
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	8,2	0,00	8,23
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	12,6	10,3	0,0	10,3	11,8	0,00	11,80
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	71,4	95,0	0,0	95,0	101,1	0,00	101,05
7106	საცხოვრებით უზრუნველყოფა	0,0	17,4	0,0	17,4	26,4	0,00	26,40
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	150,9	282,6	0,0	282,6	328,3	0,00	328,29



7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	14,7	37,6	0,0	37,6	112,9	0,00	112,95
	სულ	7 451,5	10 432,4	3 819,4	6 613,1	12 517,9	3 842,69	8 675,23

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -984,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 1091,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -106,9 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 130,0 ათ.ლარი მიიმართოს:

ა) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 128,0 ათ. ლარი;

ბ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,0 ათ. ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები



მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება-ხელშეწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად პრიორიტეტის შესაბამისად დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო გზების მოასფალტება, მოხრეშვა და მოასფალტებული გზის საფარის ორმოული შეკეთება.

მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი: რეაბილიტირებული გზების გაზრდილი მაჩვენებელი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე-განათების, წყალმომარაგების და არსებული საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების ინტენსივობის გაუმჯობესება, განათებული მუნიციპალიტეტი, გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის გაზრდილი მაჩვენებელი;

განათებული ქუჩების და სკვერების გაზრდილი მაჩვენებელი;

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებული მუნიციპალიტეტი, დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის მაჩვენებელი.

ბ.ა) სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, მოვლა-პატრონობა და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის (განსაკუთრებით ნისლიანი და მოყინული გზების პირობებში) აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციისა და შეძლებისდაგვარად ახალი კვანძების მოწყობის ხარჯები.



ბ.გ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 01)

თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები - მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, მყარი ნარჩენების გატანა.

ბ. დ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხევებზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან და ჭარბი ნალექისაგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობას.

გ.ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან და ჭარბი ნალექისაგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მემორიალების მოწყობა, რეაბილიტაციითვის ღონისძიებების დაფინანსება.

გ.ბ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ნაფარეული, ლალისყურის ზონა) სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

დ) სოფლის მხადარჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალური, ყოფითი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პროგრამით გათვალისწინებული თანხა მოხმარდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას, და/ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა აღჭურვას.

ე) ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩამდინარე წყლის (წვიმის წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ჩამდინარე წყლების) წარმოშობის ადგილიდან ზედაპირული წყლების ადგილამდე გატანის და ჩაღვრის ღონისძიებისათვის სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას. აღნიშნული თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს



განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგი:

აღსაზრდელო და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება;

მოწესრიგებული და განახლებული ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი:

ბავშვების რაოდენობის ზრდა;

მოწესრიგებული საბავშვო ბაღების გაზრდილი რაოდენობა.

ა.ა) ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 ბაგა-ბაღი : სოფ.აკურის ბაგა-ბაღი, სოფ. ვანთის ბაგა-ბაღი, სოფ. ბუშეტის ბაგა-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდამნის ბაგა-ბაღი, სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლალისყურის ბაგა-ბაღი, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღი, სოფ. გულგულის ბაგა-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღი, სოფ. რუისპირის ბაგა-ბაღი, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი, სოფ. სანიორის ბაგა-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბაგა-ბაღი, სოფ. ფშავლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლაფანყურის ბაგა-ბაღი, სოფ. ართანის ბაგა-ბაღი, სოფ. შალაურის ბაგა-ბაღი, სოფ. კურდღელაურის საბავშვო ბაღი, სოფ. წინანდალის ბაგა-ბაღი, სოფ. ნაფარეულის ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში. საბავშვო ბაღების აღსაზრდელისთვის შექმნილია ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისთვის. ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ა.ბ) სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა საბავშვო კულტურულ- საგანმანათლებლო ღონისძიებები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, დაგეგმილია სააღმზრდელო პროცესის განვითარებისათვის და ხელშეწყობისათვის საჭირო ინვენტარის და სააღმზრდელო ლიტერატურის განახლება. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურის განახლებას.

ბ) საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის არქეოლოგიით დაინტერესებული სკოლის მოსწავლეების აჭარაში, გონიო - აფსაროსი (რომაული ხანა) არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის მიღება უცხოელ სტუდენტებთან და არქეოლოგებთან ერთად.

ბ) საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებისთვის განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს, შესაბამისად თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენტა მომზადების ორგანიზაციულ და მეთოდურ ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას



რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების მოწყობა, აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

მოსალოდნელი შედეგი:

სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ბავშვები და მოზარდები;

ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება პერსპექტიული სპორტსმენებით;

მოწესრიგებული სპორტული და დასვენების ობიექტების ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი:

სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა;

სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა;

მუნიციპალიტეტის სპორტული მიღწევების მაჩვენებელი;

ა.ა) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

